წელიწადი მეორე. № 40. 12 ოკტომბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«ივერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . — 15.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

# საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

1-3051

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: „ივერიის" კორრესპონდენციები საინგილოდამ, გახეთიდამ, საგარეჯოდამ. — II, საპოლიტიკო მიმოხილვა. — III. წმინდა ნინო. — IV. რამეთუ კაცი ვარ, მოთხრობა (შემდეგი). — V. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

**საინგილო**, („ივერიის" კორრესპონდ.). ადგილობრივის ნაიბის განკარგულებით ჩვენში დიდი ხანია შესდგა პატარა საზოგადოება, რომელიც უნდა ჰსცდილობდეს ქურდობის და ავაზაკობის აღმოფხვრას, გაუქმებას. ამ გვარ საზოგადოებას აქ უწოდებენ „ოდრიბეგობას," თვით წევრს კი „ოდრიბეგს." ყველა ოდრიბეგს ჰყავს ცხენი. ესენი დღე და ღამე მოსვენებაში არ არიან, დაიარებიან სოფელ-სოფელ და ღამეს ათევენ რომელიმე ტყის ბილიკზე, რადგან ქურდებს ამისთანა ალაგით უფრო გაჰყავთ მოპარული საქონელი. შარშან ამათ სოფ. ჩვიდუღუს ახლოს დაატოვებინეს ავაზაკებს ორი კამეჩი; ახლა ხანს კიდევ რამდენიმე ცხენი, ხარი და ერთიც საწველი კამეჩი. სხვა მაგალითებს ვინდა ჩამოსთვლის მეტის სიმრავლისა გამო. ერთის სიტყვით, ეს კაცის გაუმპატივცემელი ზნე, კაცის კაცისაგან გაუმაძღარ მგელივით გლეჯა თავის კუჭის გასაძღობათ ოდრიბეგების უფროსის სიმახვილით და თავ-დადებით ჩვენში ისპობა. ღმერთმა ინებოს მოსპობა, მაგრამ იმ დრომდე კოკით ბევრი წყალი დაიღვრება, და ბევრი მგელი გაიძღებს კუჭს ჩარა გაწყვეტილის კაცის ხარჯით. რადგან, რაც გინდა იყვეს სასტიკი მოპყრობა ქურდებისადმი, ეგრე არის ზოგიერის ძვალ-რბილში გამჯდარი ეს ზნე, რომ ჩირაღდნით 15 კაცმა უყარაულოს, მაინც თავის ხელობაზე ხელს არ აიღებს. ამისთანა „უსინიდისო" ქურდი არის ვინმე ჯ. ბ. საინტერესოა ამ კაცის ოჯახობის გაცნობა. 20—30 წლის წინეთ რომ შებრძანებულიყავით ამ კაცის ეზოში, თქვენ დაინახავდით, ერთს დაძველებულს ხის სახლს, რომელიც წაქცევას ლამოდა, ერთს უკუდო ხარს, რამდენიმე ჯალღს და ეზოს გარშემო უპრალო ღობეს, სახლის შინაურობაც არ იყო მდიდარი. ერთი-ორი ქოთანი, თაბახი, საწოლი ქვეშ-საგები (დამონძილი) და მეტი არაფერი. აბა ახლა შემომყევით, მკითხველო, ახლანდელს მის ოჯახში, ვნახოთ, რას დავინახავთ. ორღობეშივე მე და შენ შევატყობთ, რომ ჩვენი მასპინძელი ძალიან მდიდარი კაცია, რადგან ქვითკირის გალავანი ეზოს გარშემო თავის მშვენიერის ალაყაფით თვალში გვეცემა, გავაღეთ ალაყაფი და ახლა გავთვალიერებთ ეზოს. აქ პირველსავე შეხედულობით მიიქცია ჩვენი ყურად-ღება დიდმა ევროპიულათ აშენებულმა სახლმა, იმას იქით მეორემ და მარჯვენით კიდევ მესამემ, ამ სახლებს შუა ვხედავთ კიდევ პატარა ლამაზს ქოხებს; აქვე ალაყაფის მარჯვენა მხარეს არის ბოსელი, რომელშიაც 60—70 ძროხა იცოხნის, ისვენებს. გვაკვირვებს ჩვენ ეზოს სილამაზე და სიწმინდე. ვინ იტყვის ჩვენი მასპინძელი გლეხის შვილიაო! აგერ თვითონაც მოდის. შეხედეთ ვერცხლით გაჭედილი ხანჯალი, ძვირფასი ახალუხი, და ამას ზევიდან ჩოხა, ფეხებზე წაღები, თავზე „გარიბალდი" (ქუდია) როგორ ამშვენებს მას. მივყვევართ სახლში, ვხედავთ, სახლი სავსეა ძვირფასის ნივთებით, იქ არ ვიცდით ჩვენ, მივდივართ ბაღში და ერთს საათს უნდებით მის გარშემოვლას (ამ კაცს აქვს

ექვსი თუ ხუთი ყურმნის ბადი და ამდენივე ბადჩა, გარდა ხსენებულ სახლებისა კიდევ ოთხი, აგრეთვე ეზოც); ამის შემდეგ ვეთხოვებით მასპინძელს და გამოვდივართ იმავე ოროღობეში. ღმერთო! როგორ შეიძინა ამ უკუდო ხარის შვილმა ამდენი ქონება. ნუ თუ ეს ყველაზე ჭკუიანი და ინგლისელივით მიწის ცოდნით შემმუშავებელია! ნუ გეგონოს. ეს არის იგივე ბრიყვი, უსწავლელი, ცრუ-მორწმუნე ინგილო, როგორც ყოველი ინგილო. მხოლოდ ეს არის თავის ძმებითურთ ქურდი; კაცის მცარცველობით, სახლების ტეხით, თავის შინაურის ქალების მუსულმან ნაიბებთან გაცნობით სიმდიდრის შემძინებელი. ამ კაცების წყალობით მამასახლისათაც იყო რამდენჯერმე; აბა ამ დროს ტყავი აძრო ხალხსა და! დღით მამასახლისობა—ღამე ქურდობა ვის არ გაამდიდრებს! აი ჩვენში ავი კაცი როგორ ჭყუპალაობს მარგალიტ-ნარგიზში ღარიბის მონაგარით! დარვინი ტყუილად კი არ ამბობს, ბოლოს და ბოლოს ქვეყანა მძლავრს დარჩებაო. ამისთანა „მოხუცებული“ ქურდები საინგილოში ერთი და ორი კი არ არის, არამედ ურიცხვი, და ეს კაცი ყველას ნიმუშათ მოვიყვანე მე, როგორც მათი მოთავე. მაგრამ გქონდეთ იმედი: ყველა ამ კაცების დღენი დათვლილნია ჩვენის საწყალის გლეხის მფარველის (ნაიბის) გამოისობით და წარსულის დროის მკვიდრის ბოძების ფესვები დალპობიათ, რისგამო იგინი (ბოძები) ირხევიან; მოვა დღე წაბორძიკდებიან და ბრაგვანს გაადენენ შავს მიწაზე. ვინ არ იცის, რომ გლეხის წმინდა გულით და სისხლის ოფლით მონაგარი ამისთანა მგლებს ძმრათ ექცევათ!.. გაფრთხილდეთ მგლებს ხორცისათვის სულის დამღუპველებს...

მ. ჯანაშვილი.

24 სეკტემბერს, 1878 წ.

---

კახეთი, „ივერიის“ კორრესპონ.). ამას წინად მე მომიხდა ყოფნა გაღმა მხარში, სადაც ჩემს თვალებს წარმოუდგნენ ღარს-საცნობი სურათები, რომლებმაც იქონიეს ზედმოქმედება ჩემზე. მე მსურს „ივერიის“ მკითხველს განვუზიარო ზოგიერთი ის გრძნობა, რომელნიც მე გამოვიტანე მგზავრობის დროს. ნუ გაუკვირდება მკითხველს, თუ ამ პატარა მგზავრობაში ბევრი რამ გულსაკლავია...

შუადღე მოტანებული იყო, როდესაც გავუდექ მშვენიერს გზა-ტკეცილს, მიმართულს ალაზნის ხიდისაკენ. თუმცა ალაზნის ველი, სოფლების ბოლოები მეტად ცხელი ადგილია, მაგრამ, რადგანაც „ცივის“ ნიავი მოზუზუნებდა—ცოტა არ იყო, რომ გრილოდა. გზის აქეთ-აქეთ სიმინდებს გაჰქონდათ შრიალი ნიავის შებერვით... სიმინდები აქ ვერ არის ხეირიანის რადგანაც თავის დროზედ წვიმები არა ჰქონდა... მივუახლოვდი „ჭალას“ სადაც ნესვ-ყარფუზის ბადები ვნახე. მივბრუნდი მებადესთან და ვკითხე: თქვენ თვითონ ჰყიდით ბადეულობასა, თუ გაჭრებს აბარებთ, მეთქი? მან მიპასუხა: „ჩვენ სადა გვცალიან, ბატონო, ავიტანთ თელავში ურმით და დავსცლით შეპირებულს მედუქნესთან; ის თვითონა, ჰყიდის როგორც უნდა.“ რამდენს მანეთს ამოიღებს ერთი ურემი ბადეულ აბა? კვალად ვკითხე მე. „აი, ბატონო, ხუთმეტი ურემი ამიტანია და ოც-და-ხუთი მანეთი მომცა,—ამის მეტი არ ამოიღოვო!“ ძნელად დასაჯერებელია ეს სიტყვები, მაგრამ საუბედუროდ მართალია. ამ სიტყვების გამგონემ, ვუთხარი მებადეს: კაცო, თუ მაგრე იაფად ჰყიდით, ხომ შრომის ფასსაც ვერ აიღებთ. ის არა სჯობია: მებადეები ერთად შეერთდეთ, ერთი დუქანი დაიქირაოთ და ისე გაჰყიდოთ; თქვენთვის ხომ უფრო სარფა იქნება?—მან ამოიოხრა და მიპასუხა: „ბარემაც კარგია და სარფაა ჩვენთვის, მაგრამ პირი არა გვაქვს, პირი!“...“ მართლაც თელავის გაჭრები მეტად უსინიდისოდ ექცევიან საწყალს მებადეებს: თითო ურემს არა ნაკლებ ორასის ყარფუზისა უძევს და ურემში რვა აბაზს აძლევენ თელავის გაჭრები მებადეებს, როდესაც თვითონ რჩებიან ურემს არა ნაკლებ 5—6 მანეთისა! ამ უღვთოებმა ნახევარი, მესამედი მაინც მისცენ პატრონსა! აგრე უღვთოდ მოტყუება შეიძლება?! . . . . . . . . . . . . . . . . . . . შევედი ქალაქში. შეჰხედეთ ერთის გზის აქეთ-იქით, რამდენი ხეხილია! უყურეთ შვინდსა, როგორ წითლად გამოიყურება ფოთლებიდგანა! აგერ თხილის ტყეც, რომელშიაც აქა-იქა აღმართულან „ჭალის“ კირკიტა და აოხვერა კაკალი. ერთი შეჰხედეთ საქონელს, როგორ გამამძღარა და დაწოლილი ჩრდილში იცოხნება!..... ამ სურათების ყურებაში და ფიქრში, მივადექ ალაზნის

ხიდსა. სწორე მოგახსენოთ, როგორც შევდექ ხიდზე, შემეშინდა; ან ეხლა ჩაიმტვრევა ფიცრები და ან ეხლა მეთქი. ადგილ-ადგილ მთელ-მთელი ფიცრები აქვს აყარდნილი, ასე რომ წყალი სჩანს ხიდს ქვეშა. ნახევარზე მეტი ხისაც დამპალია... თუმცა ხიდთან ყარაულები არიან, რომელნიც ჯამაგირით არიან დაყენებულნი და მოვალენი არიან ყოველთვის თვალ-ყური ეჭირათ ხიდზე, რომ თუ ვინაცობაა, ხიდს ფიცრები გაუფუჭდა—მალე გაუკეთონ; მაგრამ იქ ყარაულების მყოფლობა არ ეტყობა. როგორც საქმიდგანა სჩანს, ყარაულები ხიდს კი არ უგდებენ ყურსა—ფიცრებს ჩასცქერიან და ალაზნის ტოტებსა სწყევლენ, რომ აგები ბლომა თევზი დავიჭიროთ და ფული ბლომად ავიღოთო. ნეტავი ვიცოდე ვინ არის ამ გზა-ხიდის თვალ-ყურის მჭერალი, რატომ, როგორც რიგია, ისეთს ყარაულებს არ დააყენებს, რომ თავ-თავის დროზე გამოსცვალონ ფიცრები? ბატონო, ფული ფულად მიდის, ხე-ტყე ოხრად ყრია ხიდზედ, და საქმე კი არსად სჩანს! რით ვერ გაიგეს გზების თვალ-ყურის მჭერლებმა, რომ ხის ხიდს მალ-მალე ფიცრის გამოცვლა უნდა?! მინამ ხიდზე არ მიიყვანს და ცხვირს არ უგალავს, მანამ ყურები არ უნდა გაიბერტყონ?! მთელს კახეთში ერთად-ერთი ხიდია და იმისთვისაც ყური ვერ მიუგდიათ!.. ხიდს იქით გზა თუმცა პირ-და-პირ უნდა წასულიყო, მაგრამ გარს უვლის და აგრძელებს 3—4 ვერსტზე გზასა, ერთის გალმაურის მებატონის წყალობით, რომელმაც თავის მამულზე ნება არ მისცა გზა გაეყვანათ, „ტყე-მინდორი გამიფუჭდებაო!“ ნუ თუ ყველა მებატონე ამ ნაირის აზრისაა!... აი, მივედი თარსა გალავანში—ძველს ნაქალაქარს-გრემში. აქაური ნანგრევები და ძველი ნაშენები: მრავალი ეკკლესიები, კლდეზედ ციხე, კოშკები, მთავარ-ანგელოზის (რომელშიაც მარხია კახეთის მეფე ლეონ, თუმცა მის საფლავს ქვაც არ აქვს) სობორო და ციხე;—ყველა ესენი ცხადად გვიმტკიცებენ, რომ აქ ოდესმე „სიცოცხლე დუღდა.“ შეჰხედეთ მთავარ-ანგელოზის სურათების (ხატებს), როგორ დაკაწრულნი არიან ხმლითა და დაჩხვლეტილნი ტყვიითა საქართველოს სხვა და სხვა მტერთაგან!... ეს ტაძარი მშვენივრადა სჩანს თელავიდამ, რადგანაც მაღლობს ადგილებზედა სდგას. ეს ტაძარი 7—8 წლის წინად გაახლდა ენისელელთაგან და ამ ჟამად შტატის ეკკლესიად არის დადებული... აი „ინწობაც,“ უმშვენიერესი, უკეთესი და უუსარგებლოესი ყველა კახეთის მდინარეთა შორის! აი ენისლის კალოებიც რიყეზე! შეჰხედეთ, როგორ მარდათ ურბენენ მოზვრები კალოსა! აგერ კამეჩებიც, როგორ უზრუნველად უვლიან კალოს, თითქოს გრძნობენო, რომ მალე განვთავისუფლდებით უღლიდამაო, ყური დაუგდეთ პატარა გლეხის სიმღერასა — „ოროველასა,“ როგორ ნაღვლიანად ისმის! აი პატარძლები როგორ ფრთხილად უგვიან ნაპირებს კალოსა, თითქოს სცდილობენო, რომ ერთი მარცვალი არ დაიკარგოს მათის ქმრების ნაშრომიდგანაო... ერთი უყურეთ ტიტლიკანა გოგო-ბიჭებს, როგორის ჟივილ-ხივილით ჭყუპალაობენ წყალში! აი ენისელში შევედი, აი რა მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი სდგას. ვაი ამის მნახველს! უყურეთ გვერდზე წამოწოლილს ქოხებსა, რომლების ეზოში სხედან დაფიქრებული გლეხები დაგლეჯილის ტანისამოსით. აგერ იმის გვერდზე მისი ცოლი როგორ ფრთხილად „უხილავს“ თავის ნორჩს, მომაკალს მუშას-შვილს. ამ გვარს სურათებს ხშირად ნახავს ჩვენს სოფლებში მგზავრი. ნუ თუ ყოველთვის ასეთი სიღარიბე უნდა სუფევდეს ჩვენს სოფლებში?! ენისელში სახაზინო გლეხები სცხოვრებენ... ენისლიდგან გაუდგ შილდის გზას. მეტად უხეირო, რადგანაც უყურადღებოდ არის დატოვებული... მივედი შილდაშიაც—უმდიდრესს კახეთის სოფელთაგანში. შილდის ხალხი კარგა მდიდარია, რადგანაც აქ მოსავალი, მეტადრე ღვინისა,—ყოველ წლივ ბლომად მოდის. მაღლობიდგან რომ გადმოხედოთ, შილდა წითლად შეღებილი გეჩვენებათ, რადგანაც თითქმის ყოველი სახლი კრამიტით არის დახურული. შილდის უფრო საჩინარი ნაკლულევანება ის არის, რომ აქ ეზო-ყურეების სისუფთავე არ უყვართ. ერთი რა არის, ერთი ქუჩა (ორღობე) არ არის ხეირიანი და მშრალი. თითქმის ყოველთვის სუფთად ვერ გაივლით: კოჭებამდის უეჭველად ამოისვრებით ლაფში. თუმცა ამ გაზაფხულზე ერთი ორღობე გააკეთეს, მაგრამ ამ ჟამად უყურადღებობის გამო, წყლისაგან ისეთი დახრამულია და ატალახებული, რომ თქვენი მოწონებული... შილდელების ეზოები თითქმის სულ საქონლის პატივით არის სავსე. ამასაც რომ დავუმატოთ ფრიად პატარა ეზო—მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ აქ ავათ-მყოფობა ხშირი სტუმარი უნდა იყოს.—შილ-

დიდგან გავემგზავრე ს. ყვარლისაკენ, რომელიც მდებარეობს 8—9 ვერსტის სიშორეს შილდიდგან. ეს სოფელი, რომელიც წოდებულია ჩვენის პოეტისაგან „კახეთის თვალად,“ სძევს ორს მდინარის შუა: დურუჯისა მარჯვნივ და ბურსისა—მარცხნივ. მთელი სოფელი, მნახველს ციხეს წარმოუდგენს, რადგანაც თითქმის ყოველი სახლი შემოზღუდულია ქვით-კირით, ორის დიდის გალავნის გარდა, რომელთა შორის, —ერთი სოფლის ბოლოს არის აშენებული „ქართველებისაგან,“ მეორე—სოფლის თავში—რუსებისაგან. ეს უკანასკნელი შეადგენს საქართველოს „დრუჟინის“ შტაბ კვარტირის სიმაგრეს. ყვარელზედ ბევრი რამ უნდა ითქვას, მაგრამ „ივერიის“ მკითხველი ს. ყვარელზედ საკუთარ ცნობებს შემდეგში მიიღებს, რადგანაც ამ წერილში ადგილი არა აქვს ერთს სოფელზედ გაჭიანურებას. „ს. ყვარელში თითქმის 700 კომლამდინ იქნება, თუმცა აქ ვენახები ისე ბევრია, რომ 6—7 კახეთის სოფლის ვენახებს უსწორდება და ღვინოც ნაქებია, მაგრამ ხალხი მეტად ღარიბია. „ღარიბია“ მეთქი, რადგანაც თითქმის მთელი ყვარელი გარდა 10—15 კომლისა დიდს ვალშია ჩავარდნილი.... თუმცა დიდი ვალი აქვთ აქაურებს, მაგრამ მაინც აქ უფრო სუფთად უყვართ ცხოვრება. „პირის პატივი“ საკმაოდ გავრცელებულია: 4-5 ძროხა რომ დაიკლას, ისე გაისყიდება, რომ ერთი ლუკმაც არ დარჩება. ს. ყვარელი მეტად ხშირად არის დასახლებული, რის გამოც აქ მეტად მძიმე ჭაერი ტრიალებს. ამას რომ დავუმატოთ საქონლის პატივი, რომელიც პატრონებს ცხვირ წინ უყრიათ—მაშინ ცხადათ დავინახავთ და ვიგრძნობთ, რომ ციებ-ცხელებას აქ ხშირი სტუმარი უნდა იყვეს; უნდა იყვეს და კიდევაც არის, ხალხში... ახლა ქუჩები დაიარეთ! შილდის გზები ამასთან „ნევსკის პროსპექტია.“ ისეთს მყრალს სუნსა და ტალახს ნახავთ .........

მეორე ქართველი.

1878 წ. 20-ს მარიამობისთვეს.

---

**საგარეჯო**, („ივერიის“ კორრესპ.). ისევ ჩვენ და ისევ ჩვენ გარეჯელებო! ბევრმა მოინდომა დატოლება ჩვენთან, ბევრმა თქო, მე რაღა ნაკლები ბიჭი ვარო, მაგრამ სულ ფუჭად ჩაიარა. ბაირაღი პირველობისა ჩვენ დაგვრჩა. დეპომ ხომ ფეხი გაიმაგრა, ისე ჰსდგას, როგორცს გაულახავი ფალავანი, რომელიც მოედანზე დგას და იძახის: მოდით, ხართ და სადმე თუ არაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ზოგი ამას იქითა ნახეთ და! ხომ იცით, აგორებული ქვა თან-და-თან გაძლიერდება. ჩვენმა ხალხმა გაიგო ამ გვარ საზოგადო საქმეების გამო და თან-და-თან ემატება მხნეობა, პატიოსნება და სხვა ძალები, რომლებიც საქმეს წინა სწევენ. ახლა ჩვენი ხალხი მიემგზავსა იმ დათვს, როგორც ერთმა ჩვენებურმა გლეხმა თქვა, რომელსაც ყური მოაგლიჯეს, მინამ თაფლზედ მიიყვანდნენ. და მერე კი კუდიც რომ ველარ მოაშორეს. ახლა, ბატონო, ჩვენმა საზოგადოებამ მკურნალზედ დაიწყო ლაპარაკი და რამდენიმე ბიჭიც გადადგეს ამ აზრის მისახწევათ: მკურნალიც შეიგულეს, მისი თანაშემწეც, აფთექსაც აპირებენ და ხანდისხან საავათმყოფოზედაც დაიწყებენ ხოლმე ლაპარაკს, მაგრამ ამას ცოტათი უფრო უკანა სდებენ, რადგანაც მას ითხოვს გარემოება. მაგრამ ესეც ადვილია, თუ ხალხმა მოინდომა არაფერი გაუჭირდება. საზოგადოება აპირობს ამხანაგობა გამართოს და მის მწევრთაგან შეძლებისა და გვარად შეუკრიბოს ფული მკურნალს ჯამაგირათ; ვინც ამხანაგათ არ შევა, ის მისცემს მკურნალის მიწვევაზე ფასს, როგორც აღნიშნავს ამას საზოგადოება და ესეც მკურნალის ჯამაგირში წავა. ფულის გარდახდაში გამორიცხულები იქნებიან საწყლები და იმათ ნება ექნებათ უფასოდ მიიწვიონ მკურნალი, ამასთანავე ამ შემოდგომაზედვე ვაპირებთ აბანოს გაკეთებას, რომლის მნიშვნელობა ხალხის ჯანმთელობაზედ ძალიან დიდია. ნუ თუ კარგს არ იზამს ისა, ვინც ამ საშუალებით გაარბილებს და გაასუფთავებს გლეხის ტანს თავისდღეში დაუბანელს.

და ან რა აზრი აქვს მკურნალის ყოლას, თუ კი ეს უმთავრესთაგანი პირობა ჯანმთელობისა სახეში არ გვექნება. ამასთანავე ერთი შემდეგი დაწყობაც გვაქვს: ჩვენ ვაპირობთ იარმუკობა გავმართოთ საგარეჯოში. უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ ეს უსარგებლო არ იქნება. შუა სოფელში ერთს მშვენიერს მინდორზედ შეიყრება ჩვენის ხეობის ხალხი და აქ შეიყრებიან პირი-პირს ვაჭრები, ყველას რაც არ ენდომება აქ გამოიტანს და საჭიროსაც აქავ მოიკითხავენ, თბილისი ჩვენიდგან შორს არის და სიღნაღი ნამეტნავათ; რა ქნას საწყალმა გლეხმა, რომელსაც აქვს გასასყიდი ორიოდე კოდი პური, ერთი ლიტრა ერბო, ორიოდე ცხვარი, ძროხა და სხვ. იმან მაზანდა არ იცის ამაებისა და უნდა ნახევარ ფასად მისცეს პირველს ვაჭარს გაჭირებულმა. და ან რა ქნას იმან, ვისაც ესენივე სასყიდელი აქვს? ქალაქში რომ გინდოდეს საქონლის წამოღება გზის უვარგისობით პირ-და-პირ ვერ წამოვიღებთ ხოლმე და უნდა სხვა გზაზედ მოვუაროთ, რომლითაც ოცს ვერსტს მეტს გავივლით ხოლმე ამ ნაკლულევანებას დიდი ხანია ცხადათ ვხედავთ, მაგრამ უთაოსნობით ისე რჩებოდა და ახლა, მოვიცდით თუ არა, ვაპირობთ შოსსე გავაკეთოთ ხუთმეტს ვერსტზედ, თუ კიდევ ხათაბალა არა გამოგვიჩნდა რა. ჩვენი ხალხი ამ გაზაფხულზედ ცდილობდა ქალების შკოლა მოეხერხებინა და სეკტემბერისათვის კლასებიც გამართულიყო, მაგრამ მისი ახლა ხსენებაც აღარ არის—არ ვიცი მისი ადგილი სხვა საგნებმა დაიჭირეს, თუ მასწავლებელის ქალის უშოვნელობისაგან დაბრკოლდნენ.

გარეჯელი

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

გერმანიის რეიხსტაღმა, როგორც მოგეხსენებათ, დანიშნა კომმისია, რომელსაც მიანდო განხილვა მთავრობის მიერ წარდგენილის კანონისა, რომელიც მიმართულია სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ. ამ კომმისიას გაუთავებია თვისი საქმე, ე. ი. განუხილავს ეს კანონი, შეუსწორებია და წარუდგენია ხელ-ახლად რეიხსტაღისათვის. თითქმის თქმა არც კი უნდა, რომ რეიხსტაღი მიიღებს ამ კანონს. ამიტომ მოვიყვანთ რამდენსამე ღირს-შესანიშნავს მუხლს ამ კანონისას, რომელიც დიდს განსაცდელს უქადის საპოლიტიკო თავისუფლებას გერმანიაში და რომელსაც, შესაძლებელია, დაერთვას არა მარტო გერმანიისათვის საფიქრებელი მოძრაობა.—კომმისიის რედაქციით პირველი მუხლი კანონისა შეეხება ერთის მხრით იმ საზოგადოებას, რომელსაც საგნად აქვს სოციალისტურ ქადაგობით დააქციოს აწინდელი წყობა, მეორის მხრით იმ საზოგადოებას, რომელიც ამა და ამ კანონის ძალით არსებობენ და რომლის საგანი არის მხოლოდ წევრთა ურთი-ერთ შემწეობა. პირველის გვარის საზოგადოებანი სრულიად აღკრძალულნი უნდა იყვნენ. მეორე გვარის საზოგადოების შესახებ კი დადგენილ უნდა იქმნეს უმაღლესი ზედამხედველობა პოლიციის მიერ. დიდი უფლება ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც მინდობილი ექმნებათ ეს ზედამხედველობა. იგინი უნდა დაესწრნენ საზოგადოების ყველა სხდომას და კრებას; მათ აქვთ უფლება გაუსინჯონ საზოგადოებას დავთრები, ყოველ-გვარი დოკუმენტები და შემოსავალ-გასავალის ანგარიში; თავის ნებით დაუნიშნოს მას გამგეობის წევრები. აღკრძალვისა და ზედამხედველობის უფლება ეძლევა ადგილობრივ პოლიციას (სახელმწიფოისას). ამავე პოლიციას აქვს უფლება აღკრძალოს ყოველ-გვარი დაბეჭდილი თხზულება (ჟურნალ-გაზეთი თუ ცალკე გამოცემა), რომელსაც ეტყობა პირველ მუხლში აღკრძალული მიდრეკილება. ვინც მიიღებს მონაწილეობას აღკრძალულ საზოგადოებაში, ანუ იმოქმედებს ამ საზოგადოების ქადაგობის გასავრცელებლად (ე. ი. აწმყო წყობის დაქცევისათვის) მას ან ჯარიმას გადაახდევინებენ (300 მარკა), ან დატუსაღებულ იქმნება სამის თვის ვადით (ან ნაკლებ); აღკრძალულის საზოგადოების მოთავე პირნი კი წლის ვადითაც იქმნებიან დატუსაღებულნი (და არა მეტი). ამ სასჯელის გარდა ზემოხსენებულ პირთ შეიძლება აეკრძალოთ ცხოვრება ამა და ამ ადგილას. ყველა ზემოხსენებულ განაჩენზედ ჩივილი მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ცალკე ამისათვის დანიშნულს კომმისიას, რომელიც შეიცავს ცხრა წევრს. ოთხს მათგანს ნიშნავს მოზავეთა საბჭო თვის წევრთა შორის: დანარჩენს ხუთსაც იგივე საბჭო ნიშნავს, მაგრამ უსათუოდ ირჩევს უმაღლეს მოსამართლეთა შორის. ამ კომმისიის გარდაწყვეტილება უკანასკნელია. ეს კანონი უნდა მოქმედებდეს 1881 წლის 31 მარტამდე.

9 ოკტომბერს შეიკრიბა რეიხსტაღი ამ კანონის განსახილავად. ძალიან ცხარი ბაასი გაიმართა ამის თაო-

ბაზედ. მთავრობის მომხრე დეპუტატების სიტყვით კომმისიამ ძალიან დაამსუბუქაო თავდაპირველი კანონი. ერთმა მათგანმა სთქვა, რომ აღკრძალულნი უნდა იყვნენო არამც თუ მარტო ის საზოგადოებანი, რომელნიც შიშს მოასწავებენო შინაგან მშვიდობიანობისათვის, როგორც კომმისიის წინა-დადება თხოულობსო, არამედ მხედველობაში უნდა ვიქონიოთო შიში, რომელიც მთელის ხალხის სხვა და სხვა წოდებათა შორის მშვიდ ერთი-ერთობასაო. კანონის წინააღმდეგ წამოდგა დეპუტატი ზონებანი. სოციალ-დემოკრატთა ქადაგობის დარღვევა შესაძლებელიაო მხოლოდ თავისუფალის და ახდილის სჯა-ბაასით და არა ძალ-მომრეობით. ამბობენო, ვითომ თვითონ გერმანიის საზოგადოება თხოულობსო. ტყუილიაო. მე თვითონ, ამ ახალ კანონს რომ კენჭი ვუყაროთ, ჩემს ამომრჩეველთ ფრანკფურტში თვალითაც ვეღარ დავენახვებიო. განგებ მოიგონესო ყოველ-გვარი ოინობა, რათა დაეყოლიებინათ საზოგადოების აზრი. ერთმა ბერლინის გაზეთმაო ამისათვის გამოუცხადაო ერთი ნაწილი ნობილინგის საქმისა. მაგრამ ყველა ეს ჭორად იქცაო. მართალიაო, კანონი იმოქმედებსო მხოლოდ ორ-წელიწად-ნახევრის განმავლობაშიო. მაგრამ ეს კიდა სრულიად საკმარისიაო, რომ დიდი ვნება მოუტანოსო ასსოციაციის საქმეს და წერა-ბეჭდვას, რომელმაც ეს არი ეხლა აიდგა ფეხიო.

ზონებანის შემდეგ წამოდგა თავადი ბისმარკი და სთქვა შემდეგი: ,,ზონებანის გაზეთის (,,ფრანკფურტის გაზეთი") კითხვის დროს მე ყოველთვის შემიმჩნევია, რომ ამ გაზეთის სჯა და მხედველობა საკვირვლად ეთანხმებიან საფრანგეთის მთავრობის მომხრე გაზეთების სჯას და მხედველობას. (მოძრაობა). ბევრჯელ მომხდარა კიდეც, რომ ამ გაზეთის ცნობა მეორე დღესვე დამტკიცებულა საფრანგეთის საელჩოს მიერ (ისმინეთ!). ამის გამო მე მგონია, რომ უფ. ზონნებანი, როგორც გამომცემელი დიდის გაზეთისა მუდამ მისვლა-მოსვლაშია საფრანგეთის მთავრობასთან, — მისვლა-მოსვლაში, რომელიც, რასაკვირველია, წარმოსდგება არა რაიმე ანგარებისაგან, არამედ თანაგრძნობისაგან ამა მთავრობისადმი. ყველა ის რაც აქ სთქვა უფ. ზონნებანმა, თქმულა მხოლოდ ჩვენის ყოველ-გვარის დაწესებულების დამცირებისათვის და იმ პირთ სახელის გასატეხად, რომელნიც არიან იმპერიის მოთავედ, თვით ფრანციელი, ჩვენი ჯავრის ამოყრის მოსურნეც რომ მოსულიყო, ისიც ვერ იტყოდა იმაზედ მეტს, რაც სთქვა ზონნებანმა. მის სიტყვისაგან და მის გაზეთისაგან ყოველთვის შემიძლიან შევიტყო რას ფიქრობს საფრანგეთის მთავრობა ჩვენს საქმეზედ. უფ. ზონნემანი ნიმუშად გვიდგენს საფრანგეთს და გვარწმუნებს, რომ ამ ქვეყანაშიო სოციალისტების საქმე არას დროს არ გამოვიდოდაო ნაფიც-მსაჯულთა ხელიდგანაო და სხვა-გვარ სამართალში არ ჩავარდებოდაო. საკვირველია, რომ ორატორმა არ იცის რომ ყველა კომმუნარები *) დასჯილნი იყვნენ სამხედრო სასამართლოთა მიერ, დახვრეტილნი და გარდასახლებულნი ისე შეუწყნარებლივ, როგორადაც საფრანგეთის გარდა სხვაგან არასოდეს არა მომხდარა რა. როგორ არ იცის ორატორმა, რომ ამ ზომიერების ძალით განთავისუფლდა საფრანგეთი დროებით იმ ტკივილისაგან, რომელიც შემდეგ მოედო გერმანიას? როგორღა ამბობს უფ. ზონნებანი ვითომ საფრანგეთში ყოველი საქმე გაირჩეოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ? იგი ან უნდა იყოს თვითონ სოციალისტი ან არა და ეკუთვნოდეს ელზასის ესრედ წოდებულს წინააღმდეგობის დასს. უწინაც გამომიცხადებია, რომ ყოველთვის მზათა ვარ ხელი მოვუმართო ყოველ გვარ მეცადინეობას, რომელიც მიდრეკილია მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობისაკენ; მზადა ვარ მოუმართო ხელი აგრეთვე იმ გვარ საზოგადოებასაც, რომელიც ცდილობს გაუკეთოს ბედი მუშებს სხვათა შორის მუშაობის დროს (დღეში) შემოკლებით და მოგებაში მონაწილეობის მიღებით მუშების მიერ. ამ გვარი საზოგადოებანი ახალი ამბავი არ არის გერმანიაში; იგინი ხუთას წელიწადზედ მეტია რაც არსებობენ". შემდეგ ბისმარკმა აღიარა, რომ ეხლანდელ სოციალისტებს არავითარი მტკიცე საგანი არა აქვსთ მხედველობაშიო. აი თერთმეტი წელიწადი ვსხედვართო სოციალ-დემოკრატებთან ერთად ამ რეიხსტაღშიო და ერთხელაც არ გაგვიგონიაო მათგან რაიმე მტკიცე წინადადება ან პროექტი, რომლითაც მათის აზრით გაკეთდებოდეს მუშა ხალხის ბედი. თვითონაც არ იციანო რა უნდათო. იგინი მარტო ბრიყვ ხალხს ატყუებენო და აცდენენო. იგინი უკუაგდებენო სარწმუნოებას, მონარხიას, მამულის მოყვარეობას, საკუთრებას, ოჯახობას, მემკვიდრეობას და მით უკარგვენო გაუნათლებელ ხალხს ყოველ გვარ სასოებას, აცლიან მას ყველას, რასაც კი სცემდა თაყვანსაო. ბისმარკის აზრით სოციალ-დემოკრატები იმი-

*) იმ რევოლიუციის მოღვაწენი, რომელიც ასტყდა საფრანგეთში 78 მარტს 1877.

რედ.

ტომ გამრავლდნენო გერმანიაში, რადგანაც ჩვენ ძალიან ჩვილი კანონები გვაქვსო. „ნემცები მაინც საზოგადოდ უკმაყოფილონი არიანო, აბა ერთი კმაყოფილი ნემეცი მიჩვენეთ. მართალია პატივ-დიდების მოყვარეობა კარგი რამ არის, მაგრამ საშიში თვისებაცა აქვს სახელმწიფოსთვის, მეტადრე როდესაც ეს მოყვარეობა სჭირთ მოხელეებს. ყოველი ჩვენი მოხელე სცდილობს მისცეს თავის შვილს ისეთი სწავლა, რომ სამსახურში უფრო წინ წაძღვეს, ვიდრე თვითონ არის წამდგარი. ბოლოს გამოდის, რომ ჩვენ დაბალ მოხელეებს სჭირთ სოციალ-დემოკრატობა“.

---

## წმინდა ნინო

ქრისტეს აღსარება დამყარდა ჩვენში მირიან მეფის დროს..... ვიდრე ამ საგანს გამოვიკვლევდეთ, უნდა მკითხველს მოვაგონოთ რაც რომ ზემოთ ვჰსთვით, ესე იგი, რომ ახალის მცნების შემოტანამდე ნინოსაგან, საქართველო ამ მცნების მისაღებად ძველადვე მზადდებოდა. ჩვენ საზღვრად, სომხეთში, ზემო-ქართლში და ეგრისში ანუ იმერეთში პირველ საუკუნიდამვე იყო დანერგილი ქრისტეს სჯული. წარმართობას მთლად აღიარებდნენ მხოლოდ ქვემო-ქართლი და კახეთი, თუმც, ჩვენის ფიქრით, აქაც იყვნენ ახალის სარწმუნოების მიმდევნი. ასე იგულისხმება ზოგიერთი ადგილი ქართლის-ცხოვრებისა 1).

საქართველოს განმანათლებელს ქართლის-ცხოვრება უწოდს ნინოდ. ნინო იყო, ამბობს იგი, „კაპპადოკიის ქალაქით“, თუმცა ის არ გვიჩვენებს იმის ტომ-ნათესაობას 2). ნინოს მამად იცნობება „კაცი ვინმე მთავარი, სახელით ზაბულონ“, დედად—სარა, დისწული იერუსალიმის პატრიარქისა იობენალისა. ნინოს ნათესავად ჰხადიდნენ თვით გიორგი მთავარ-მოწამეს, რომელიც ამ მიზეზის გამო საქართველოს გერბად არის მიღებული და მთელს ჩვენ ტომში დიდ პატივცემული 3). ნინოს გარდა იმის მშობლებს სხვა შვილი არ ჰყვანდათ, და „აღზარდა იგი დედამან მისმან მსახურებასა შინა გლახაკთასა, და ვითარ იქმნა ნინო ათ-თორმეტისა წლისა მშობელთა მისთა გაჰყიდეს მონაგები მათი და წარვიდეს იერუსალიმად“.

„შემდეგ ზაბულონ იქმნა ცოლისაგან მისისა და წარვიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათთან ველურთა“. დედა ნინოსი მისცა პატრიარქმა „გლახაკთა დედათა და წმინდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა, სომეხსა დვინელსა“, რომელიც ორის წლის განმავლობაში ამტკიცებდა იმას ქრისტეს სჯულში. ნინო უმაწვილობითვე დაადგა ქრისტეს სჯულის გავრცელების ასპარეზს. ნინო გავიდა იერუსალიმიდამ ახალ რომში ანუ კონსტანტინეპოლში, სადაც გაჰყვა „დედა-კაცსა ვასმე ეპესით მოსრულსა ელენე დედოფლის სახილველად და სიტყვის-გებად ქრისტესთვის წინაშე მისსა“. აქ იმას შეჰხვდა „დედოფალი ვინმე და ტომი სომეხთა მეფეთა, რიფსიმე და დედა მძუძე მისი გაიანე, რომელნი იყოფოდეს მონასტერსა შინა ქალწულთასა და მომლოდნე იყვნენ იერუსალიმით ნათლის-ღებასა“. ნინომ დაჰყო აქ ორი წელი და „ნათელ-სცა რიფსიმეს, გაიანეს და სხვათა სახლეულთა მისთა, რიცხვით ორმოცდა-ათთა სულთა“. ამ დროს კეისარი ეძებდა „ქალსა ქმნულ-კეთილსა და შვენიერსა ცოლად მისსა“. იმას შეესმა რიფსიმეს მშვენიერება და ისურვა იმასთან შეუღლება. რიფსიმე და სხვანი დედანი ფარულად განილტვნეს და შევიდნენ სომხეთის სატახტო ქალაქში დვინში აქ დაესხდნენ „ტალავარსა მათ შინა საწნახელთასა და იზრდებოდეს მუნ ხელთ-საქმისა თვისისა განვაჭრებითა“. კეისარმა სცნა რა რიფსიმეს ყოფნა სომხეთში, მოსთხოვა იგი ტირდატ მეფეს. ტირდატმა გამოსძებნა ისა და თვითონ ისურვა იმისი შერთვა. რიფსიმე ურჩ-ექმნა და ამისგამო „იწამა მის მიერ წამებისა ღვაწლითა, მისთანა გაიანეცა და სხვანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს, იტყვის ქართლის-ცხოვრება, წიგნსა მას წამებისა მათისასა, მოქცევასა შინა სომეხთასა, ხოლო რომელნიმე მათგანნი დაიმალნენ და ივლტოდეს, რომელთა თანავე წმინდა ნინო დამალულ იქმნა ეკალთა შორის ვარდისათა“. ქართლის-ცხოვრების თქმით აქ ნინოს მოესმა ხმა: „აღზდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკ ყოვლად არს“. ნინო შეუდგა გზას, და მივიდა ორბანთად, სომხეთისავე საზღვრად, სადაც იმან „დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა“. ზაფხულს ნინო ისევ გაემგზავრა და მივიდა ჯავახეთს, „სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა, გარდამომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანი“. აქედამ „იხილნა მთანი ჩრდილოსნი, სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკისათა, და დაჰყო

---

1) ქართლის ცხოვრება გვ. 56, 82, 83.

2) Ист. груз. церкви, стр. 8 ქართ. ცხოვ. 64.

3) Ист. груз. церкви, стр. 15.

მუნ ორ დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა, და მწყემსნიცა იყვნენ ადგილსა მასვე, ხადოდენ იგინი შემწედ და მფარველად მათდა ღმერთთა მათთა, არმაზს და ზადენს". ნინომ გამოჰკითხა სომხურის ენით იმათ ვინაობა და იმათ დაუსახელეს სხვათა შორის ქალაქი მცხეთა, „სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ". მოსეს სიტყვით, „ნუნეს ემოსა ლიტონი სამოსელი, ის იყო უცხო სოფელში, განშორებული ყოველისავე სოფლეულისაგან, მიმსჭვალული ჯვარისადმი, გართული დღე-ყოველ სიკვდილში, აღმსარებელი სიტყვით სიტყვისა ღვთისა და დაგვირგვინებული თუმცაღა სისხლის გვირგვინით. გავბედავ და ვიტყვი — განაგრძობს მოსე, — რომ ნუნე შეიქნა მოციქულ" 4). მუდამ მმარხველი და მხურვალე მლოცველი, ნინო ჰხედავდა ჩვენებაებს. ის იკვებებოდა საზრდელით, რომელსაც უცხოთ და მგზავრთ გამოსთხოვდა იმის სასთაული იყო ხშირად ქვის ლოდი 5). თავშესაფარი თვით ბუნება: საწნახელი 6). მაყვლის ქოჩი 7) და სხ. ნინო უწოდდა თავის თავს რომის ტყვედ 8). თავის მოგზაურობაში ის ხან და ხან მსვლელობდა მარტო და „ნახვიდა ჭირთა დიდთა გზათაგან და შიშთა დიდთა მხეცთაგან" 9)..... ფარავანიდამ დაწყობილი ნინო მიჰყვა მდინარეს მტკვარს და შევიდა „ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, და შევიდა უბანსა ურიათასა, რომელთა ზრახვიდა ენითა ებრაულითა. მუნ დაჰყუნა თვისა ერთისა დღენი და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქვეყნისასა". აქედამ ნინო გაჰყვა „ერსა დიდსა სიმრავლით წარმავალსა დედა-ქალაქად სამეფოდ მცხეთად მოკაზმრებად და ზორვად წინაშე არმაზ ღვთისა". მცხეთაში ნინომ დაისადგურა „წიაღ მოგვთა ხიდსა მას ზედა, სადა იხილა მოგობა ცეცხლის-მსახურთა მათ-ერთა და საცთური და სტიროდა წარწყმედასა მათსა და ილოცვიდა უცხოებასა თვისსა". აქ ნინო შეითვისა ; დედა-კაცმა ვინმე, ცოლმა მეფის სამოთხის მცველისამან, სახელით ანასტასიოს, რომელთანაც დაჰყო ცხრა თვე. შემდგომად ცხრათა თვეთა ჰპოვა გარეგნით ზღუდეთა შათ ქალაქისათა ქოჩი ერთი ბრწყალი, სახედ ტალავარისა მცირისა, მაყვალთა მიერ შემზადებული, და ჰყო იგი საყოფელად თვისად და აღმართა მუნ შინა ჯვარი მის მიერ შემზადებული ნასხლევთაგან ვაზთასა, რომლისა წინაშე განათევენ იგი ღამესა მარადის მღვიძარებითა და აგრეთვე შეაღამებს დღეთა დაუცხრომელად ლოცვითა, მარხვითა და ვედრებითა ღვთისათა, და განკვირვებულნი სიმრავლესა ზედა ღვაწლთა მისთასა მსახურებდეს მას მეუღლენი იგი მცველნი სამოთხისა მის მეფისანი". აქ ურიის მღვდელი აბიათარ და ასული იმისი სიდონია და მათთანა სხვანიცა დედანი, რიცხვით ექვსნი დაემოწაფნეს სწავლასა წმინდისა ნინოსსა, თვინიერ ნათლის-ღებისა, რამეთუ არა იყო მას ჟამსა მღვდელი, რათამცა ნათელ-ეცა მათ; და ყვნეს იგი და ფარულად მოწაფე მისი, რამეთუ რეცა-თუ მიზეზითა წამალთა ხმარებისათა მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განათავისუფლნა უძლურებათაგან მათთა"... „და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაიცა განაცხადა ქადაგება და დაიმოწაფნა მრავალნი". ამ დროს ნინომ განკურნა სხვათა შორის მოგვი მთავარი სპარსი და აგრეთვე დედოფალი ნანა „სენისაგან ფიცხელისა, დიდისა და მწარისა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო". „მიერადგან შექმნა იგი დედოფალმან მეგობრად თვისად შინაურად და მარადის ჰკითხავნ და გამოიწვლილავნ სჯულსა ქრისტესსა, და იქმნეს მოგვი მთავარი სახლეულით და ერითურთ მისით და თვით დედოფალი მორწმუნენი და იცნეს ღმერთი ჭეშმარიტი". „ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმინდა ნინო და არავინ აუწყებდა, თუ „ვინ ვარ, ანუ სადათ მოვალ", არამედ ტყვედ იტყოდა თავსა თვისსა". „მაშინ მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მარადის ჰკითხავნ ურია ყოფილსა მას აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყოველსა". „აქვნდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა, ამისთვის რომელ ესმოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი საბერძნეთით და სომხითით, და არად დააბრკოლებდა ქადაგებასა ნინოსსა და მოწაფეთა მისთა".

„დღესა ერთსა ზაფხულისასა, თვესა ივლისსა განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუხნარით კერძო, და მოუხდა უჩინო იგი მტერი ბოროტი, ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყვარული კერპთა და ცეცხლისა, და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა, მახვილით მოწყვეტასა ყო-

4 Ист. Арменiи стр. 153.
5 იქვე, გვერდი 72.
6 იქვე, გვერდი 69.
7 იქვე, გვერდი 77, 83.
8 იქვე, გვერდი 76, 81, 83, 84, 98.
9 იქვე, გვერდი 73.

ველთა ქრისტიანეთასა“. ამ ჟამად, როდესაც მეფე „აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა, შუა სამხრის ოდენ, დაუბნელდა მზე და იქმნა ღამე ბნელი. განიბნივნეს ურთიერთ-არს მხლებელნი მისნი და დაშთა მეფე მარტო, და ირბიოდა მთათა მაღნართა, შეშინებული და შეძრწუნებული. და ვითარცა მოეგო თავისა ცნობასა, განიზრახვიდა ესრედ გულსა შინა თვისსა: „აჰა ესერა ვხადემლმეთი ღმერთთა ჩემთა, და არა მპოვე ჩემზედა ლხინება. აწ რომელსა ქადაგებს ნინო ჯვარსა და ჯვარცმულსა, და ჰყოფს კურნებათა მისითა სასოებითა, არამცა ძალედვა ხსნა ჩვენი ჭირისა ამისგან. ანუ თუ ჩემთვის ოდენ არს ჭირი ესე ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯვარისა და თაყვანი ვსცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსსა სჯულსა ზედა რომთასა. ესე ყოველი რა წარმოსთქვა, განთენა და გამოუბრწყინდა მზე, და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან, დადგა მას ადგილს, განიპყრნა ხელნი აღმოსავლეთით და ჰსთქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, ღმერთო, რომელსა ნინო იტყვის. აჰა ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ლხინება და მიახლება შენდა. უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯვარისა ...“ 10) „და იხილა ერმან მან ნათელი და გამოერონნენ ერი განბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა“: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება ყოველმან ერმან“. განვიდეს დედოფალი და ყოველი ერი მიგებებად მეფისა, ხოლო ნინო დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა. მაყვლოვანსა მას შინა, ჩვეულებისაებრ თვისისა, ჟამსა თვისსა, და მის თანა ორმეოც და ათი სული და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, აღიძრა ქალაქი, და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: „სადა არს დედა-კაცი იგი უცხო, რომელ არს დედაი ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი“. მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი მივიდა და გარდაიჭრა სახედრისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს მყავ სახელის დებად სახელისა ღვთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა“. ხოლო წმინდა ნინო ასწავებდა და მოწაფეთურთ თვისით ქადაგებდა ერსა მას შინა დღე და ღამე დაუცხრომელად და უჩვენებდა გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა“.

10 იტყვიან, ვითომც ერთი ძველი მცირე ეკკლესია, რომელიც თხოთის მთაზე დგას და მტკვარს დასცქერის, ამ შემთხვევის სახსოვრად იყოს აშენებული.

ამ დროს მირიანმა აცნობა საქმის გარემოება კონსტანტინე იმპერატორს და მოსთხოვა მღვდელნი. კონსტანტინე და დედა იმისი ელენე აღივსნეს სიხარულით. იმათ წარმოუგზავნეს მირიანს „მღვდელი ჭეშმარიტი, იოანე ეპისკოპოზი და მისთანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი, ჯვარითა და ხატითა მაცხოვრისათა“. მირიანმა შემოჰკრიბა მცხეთას ერისთავნი, სპასალარნი და ყოველნი პირნი სამეფოსანი. თავდაპირველად ნათელ იღო მეფემ „ხელსა ქვეშე წმინდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალმა და შვილთა მათთა ხელთა ქვეშე მათ მღვდელთასა და დიაკონთასა“. აკურთხეს მდინარე მტკვარი და ეპისკოპოსმა „მიწურვით ხიდის-კარსა მოგვთასა ნათელ-სცა წარჩინებულთა ერთი-ერთისასა, და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლავ. ხოლო ქვემოდ მისსა, მდინარისავე პირსა, ორნი იგი მღვდელნი და დიაკონნი ნათელ-სცემდეს ერსა... და ესრედ ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან. ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არამედ დადგეს ბნელსა შინა ჟამსა ოდენ და ურიათა მცხეთელთა არავე ნათელ-იღეს, გარნა ბარაბიანთა ორმეოც და ათმან სახლმან. ამისთვისცა დიდ-იქმნეს წინაშე მეფისა და მიუბოძა დაბა, რომელსა ჰქვიან ციხე-დიდი. არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან“. მირიანის მოთხოვნით კონსტანტინემ წარმოუგზავნა იმას ძელი ცხოველის ნაწილი, და განძითურთ დიდით ხუროთნი და მღვდელნი მრავალნი, „რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელ-სცემდენ ერთა. ამ თხოვნით გაგზავნილი იყო იოანე ეპისკოპოზი. შემოვიდნენ რა ერუშეთს იოანემ „დაუტევნა მუნ ხუროთნი საქმედ ეკკლესიისა, დაუტევნა განძნი და სამსჭვალნი უფლისანი და წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკკლესიასა, და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი. მირიანმა იწყო აღშენება მცხეთას, თვით იმ ადგილს, „სადაც იყვნენ მაყვალნი ნინოსნი“ საეპისკოპოზო ეკკლესიისა, რომელი განასრულა ნინოს სიკვდილის შემდეგ 11). მირიანმა აღმართა თაყვანის საცემლად ერისათვის ჯვარნი მცხეთის ეკკლესიაში, მცხეთის პირის-პირ ჯვარის მთაზე თხოთის მთაზე და სოფელს უჯარმას 12). შემდეგ ამისა

11 ქართლის ცხოვრება, გვერდი 100.

12 Hist. de le Geor. I, 123—124 n. 3 Ad. et Eclairc. a l' Hist. de la Géor.—Chronique armén., p. 30.

მირიანმა განიზრახა მახვილით მოქცევა მთიულთა და თავის სიძის ფეროზისა. ნინომ არ მისცა ნება მახვილის მოხმარებისა. იმათ მოსაქცევად გავიდა თვით ნინო, რომელსაც მირიანმა გაატანა იოანე ეპისკოპოზი და ერთი ერის-თავი. „მოვიდეს და დაადგეს წობანსა და მოუწოდეს მთიულთა პირუტყვისა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოველთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ, ხოლო მათ არა ინებეს ნათლის-ღება. მაშინ ერის-თავმან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი". „გარდმოვიდეს და დაადგეს ჟალეთსა და უქადაგეს ერწო-თიანელთა, და მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს და სხვანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდნს არა ინებეს ნათლის-ღება. ამისთვისცა წარჰბეს იგინიცა და შესცდეს, და რომელიმე უკანასკნელ მოაქციენა აბიბოს, ნეკრესელ ეპისკოპოზმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე. ხოლო წმინდა ნინო წარემართა წარსვლად რანს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, დაყვნა მუნ დღენი, და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა მუნ და შევედრა სული მეუფესა ცათასა, ქართლად მოსვლითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა. და ქრისტეს ამაღლებიდგან სამას ოც და თვრამეტსა წელსა. მაშინ შეიძრნეს ორნივე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა და ყოველი ქართლი. მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გვამი მისი ადგილსავე ზედა ჭერეთისასა, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან. სიმდაბლისათვის ჰქმნა ესე წმინდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო"....13).

საქართველოს მოქცევას გვიამბობენ როგორც ჩვენი მწერალნი, აგრეთვე უცხო ტომნი: სომეხი მოსე ქორენელი და ბერძნის საეკლესიო ისტორიკნი, ანუ თანამედროვენი ნინოსნი, ანუ იმის ახლო დროს მცხოვრებნი. რუფინი, რომელიც კონსტანტინე დიდის დროს ჰყვავოდა, ვრცლად აგვიწერს ამ საგანს და ამასთანავე შეჰნიშნავს, რომ ეს გარემოება მიამბო იერუსალიმში იბერიის მეფემ ბაკურიეს. კონსტანტინეს შემდეგ სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტი და სხვანი ქრისტეს სახარების გავრცელებას ჩვენში მოგვითხრობენ ქართლის ცხოვრების თანახმად, თუმცა ამ დროს საქართველოს მეფედ ისინი მოიხსენებენ ბაკურის, და არა მირიანს 14). ჩვენი მწერალნი არიან: „სალომე, უჯარმელი დედოფალი, მირიან მეფის ძის რევის მეუღლე, ასული ტრდატ სომეხთა მეფისა," აბიათარ მღვდელი ურიათაგანი და სიდონია აბიათარის ქალი. აბიათარ და სიდონია იყვნენ, როგორც ამას თვითონვე იტყვიან და როგორც ეს ზემოდ ქართლის-ცხოვრების გამონათქვამიდამ სჩანს, პირველნი ნინოს მოწაფენი. სამივეს თქმულება ჩართულია ქართლის ცხოვრებაში. ის მთლად იმას ეკუთვნის, თუ არა არ ვიცით. ეს კია, რომ აქ ადგილ ადგილ ამოვიკითხავთ იმ გვარ სიტყვებს, რომელნიც შემდეგ დროს მიგვაგონებენ; მაგალ. სალომე სამეფო მტილის ანუ „სამოთხის" აღწერაში ამბობს: „სადა იგი აწ არს სვეტი ღვთივ-აღმართული და ეკკლესია საკათალიკოზო" 15)....„განაწესეს ჯვარის მსახურება..., ყოველმან ქართლმან დღეინდელად დღემდე" 16) „რომელნიმე მთიულთაგანნი უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ 17) ეპისკოპოზმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესამომდე" 18)—ვინ იყო ნინო ამაზე ქართლის-ცხოვრების გარდა ჩვენ სხვა ცნობა არა გვაქვს და ამისთვის დაჯეშმარიტებით ვერას ვიტყვით, ბერძნების მწერალნი იმის სახელსაც არ იხსენებენ იმინი იმას მხოლოდ იბერიის ტყვედ ჰხადიან 19). თვით ნინო ტყვედვე უწოდს თავის თავს. მოსე ხორენელი იმას სახელ-სდებს ნუნედ 20). იტყვიან, ვითომც ნუნედ ანუ ნონნედ იწოდებოდნენ საზოგადოდ ეგვიპტის მონაზონნი და უნდა ვიფიქროთ, რომ აქედამ არის წარმომდგარი სახელ-წოდება ნინო 21) ქართლის ცხოვრების ცნობა ნინოს სამშობლო ადგილზე კაპადოკიაზე შესაწყნარებელი ცნობაა. კაპადოკია მდებარეობდა თავრის მთაში, შავის ზღვის პირად, და იმის საზღვრებში ითვლებოდა თვით მცირე სომხეთი. კაპადოკია დაახლებული

13 ქართლის ცხოვრება გვ. 64—99.

14 Hist. de la Géor. I, 132 n. 3 Ист. груз. церкви, Іоссе-ліани, стр. 18.

15 ქართლის ცხოვრება გვერდი 78.

16 იქვე, გვერდი 95, 97.

17 ცხოვრობდა მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში.

18 იქვე, გვერდი 98.

19 Ист. груз. церк., Іоссел. 18 Hist. du B—Emp. I, 292 n. I.

20 Ист. Арм., стр. 152—153.

21 Ист. груз. церк., стр. 8 примѣч. 13.

იყო უფრო სემიტის ნათესავისაგან. აქ ძველად გავრცელებული იყო სირიული ენა და ნინევიის და ბაბილონის სწავლა—ხელოვნება, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ დაიმონავა ბერძნულმა ენამ და განათლებამ 22). კაპპადოკიაში ნინოს დროს ქრისტეს სჯული დამყარებული იყო. აქ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი ღირს-სახსოვარი შემთხვევა. ეს ის შემთხვევაა, რომ კაპპადოკიით გაყვანილმა ტყვეებმა საზოგადოდ დიად დიდი სარგებლობა მიაგეს ახალ მცნებას: იმათ გაავრცელეს ქრისტიანობა თვით გუნნებში; გოთის პირველი ეპისკოპოზი ულფილა, რომელიც ჩვენ ამ სტატიაში ზემოდ მოვიხსენეთ, იყო კაპპადოკიაში დატყვევებული.— ჩვენის აზრით, ნინო შთამომავლობით უნდა ყოფილიყო სირიელი. ნინო საუბრობდა რამდენსამე ენას. იმან იცოდა სომხური, რომელიც ქართლის ცხოვრების თქმით იმას ესწავლა ნიაფორესაგან 23), ბერძნული 24), რომაული 25), და ებრაული 26). ის იყო დახელოვნებული მკურნალობაში 27) როგორც მოვიხსენეთ კიდეც, ნინო იყო აღზრდილი დვინელის სომხის ნიაფორესას; იმისნი დაახლოვებულნი მეგობარნი იყვნენ: „დედოფალი ვინმე სომეხთა მეფეთა რიფსიმე და დედა—მძუძე მისი გაიანე“. ქართლის-ცხოვრების ცნობითვე ნინო კაი-ხანი ცხოვრობდა სომხეთში. სომხეთიდამვე შემოვიდა ის ქართლში და მცხეთაში. იმისი გზა იდო ჯავახეთზე და ტაში-კარზე ანუ ახლანდელს ბორჯომის ხეობაზე.—სომხეთის გავლენა ქართლ-კახეთის გაქრისტიანებაზე ცხადი საქმეა, თუმცა ამას ჩვენი მატიანე არ იხსენიებს. ამას გვიმოწმებენ როგორც საქართველოს სახარებით განათლება ახლო დროს, შემდეგ სომხეთის განათლებისა, აგრეთვე სხვა ფაქტები სომხეთის მეფემ ტირდატმა გრიგოლ განმანათლებელის ხელით ნათელ-იღო, სენ-მარტენის სიტყვით, 276 წელს 28), ბროსსეს ფიქრით კი 301 ანუ 311 29). მირიანმა და იმის ქვეშევრდომთ მიიღეს ქრისტიანობა მეოთხე წელს შემდეგ ნინოს მოსვლისა მცხეთას. ამ წელს სომხის ისტორიკოსი ჩამჩიანი უჩვენებს 317, ბერძნის მწერალი ბარონიუსი 311 ანუ 327; ბროსსე ნინოს მოსვლას მოიხსენებს 325 წელს, და მირიანის ნათელ-ღებას 328 წელს 30). ამ შემთხვევისთვის, რომელსაც აქ შევეხებით, ჩვენს აზრში დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარდამოცემას მოსე ხორენელისას: მოსე ჯერ მოკლედ მოიხსენებს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმის ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მირიანის განზრახვას, რომ იმან შიშით შეურყეულმა სიბნელის გამო ნადირობის დროს თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთს, მასუკან ამ სიტყვებით განაგრძობს: „მაშინ ნეტარმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცნი და წარგზავნა იგინი წმინდა გრიგოლთან საკითხავად, თუ რა გვარ იმოქმედოს იმან, რადგანაც იბერიელთ ნება-ყოფლობით მიიღესო ქადაგება სახარებისა. ნუნემ მიიღო ბრძანება, რომ თვით გრიგოლის მიბაძვით დაამხოს კერპნი და აღმართოს ნიშანი პატიოსნისა ჯვარისა, ვიდრე უფალი იბერიელთ განსაგებლად მწყემს მოავლენდეს. ნუნემ მეისვე შემუსრა ზექს-ქოხილის მპყრობელი არამაზდი, რომელიც ქალაქს გარედ დიდის მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისამებრ მცხოვრებნი თაყვანს-სცემდნენ არამაზდს ყოველ-დღე განთიადისას, თავიანთის სახლის სართულებიდამ, და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდინარეს და ტაძრების წინ დაჰკლავდა მსხვერპლს. სატრაპნი (დიდ-კაცნი) ქალაქისანი აღდგნენ და იტყოდნენ: „ვისდა უნდა თაყვანი ვცეთო ნაცვლად კერპთა“. სცნეს, რომ „ქრისტეს ჯვარის ნიშანსაო“. გათალეს იგი და აღმართეს ქალაქის აღმოსავლეთად უცხო ქედზე, რომელსაც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათენდა დღე და ყოველთ მცხოვრებთ თაყვანი-სცეს მას, როგორც ჩვეულება მოითხოვდა“ 31) გარდა ამისა სტეფანე სიუნელი გვიამბობს, რომ წმინდა გრიგოლ ეკკლესიების სასწავლებლად ხშირად მოგზაურობდაო იბერიაში და ალოვანელებში, თვით მასკუტებში და მასაგეტებში 32) ზოგიერთნი ჩვენნი და უცხო-ტომთ მწერალნი იტყვიან, რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლად მირიანის დროს საქართველოში მოვიდაო ანტიოქიის პატრიარქი ესტატე. ესტატე ანტიოქიის პატრიარქად იყვა 325 წლიდამ ვიდრე 331 წლამდე. ამ დროს იმას

22 Asie Mineure, t. II, 182, 433.
23 ქართლის ცხოვრება 71.
24 იქვე, გვერდი 76.
25 იქვე, გვერდი 64, 72.
26 იქვე, გვერდი 7 , 77.
27 იქვე, გვერდი 77, 8 , 103, 104, /0 .
28 Hist. du B—Emp. I, 76.
29 Hist. de la Siounie, I. 74. Hist. de la Géor. I, /28 n. 4.
30 Hist. de la Geor. I, 7 n. 2, /28 n. 4.
37 Ист. Арм. Монс. Хор. /53.
32 Hist. de la S. I, p. / /.

ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კონსტანტინე დიდმა ის განდევნა. ამტკიცებენ ვითომც კონსტანტინემ წარუგზავნა მირიანს, იმის თხოვნით, ესტატე ანტიოქიელი მღვდლებითურთ, ვითომც მირიანმა და ყოველთა ქართველთა ნათელ-იღეს ხელითა ესტატე ანტიოქიის პატრიარქისათა. სენ-მარტენის ფიქრით, ესტატეს მოსვლა საქართველოში უნდა მომხდარიყო 331 წლის შემდეგ, ბროსსეს სიტყვით კი 325 წელს 33). ბროსსესაგან ნაჩვენები დრო ის დროა, როდესაც, იმის თქმით, ნინო შემოსულა მცხეთაში, და ამისთვის თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ არის, არც ბროსსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი. თუ ჩვენ იმაზე დავემყარებით, რომ ნინო მოვიდა მცხეთას 225 წელს და მირიანმა ნათელ-იღო 328 წელს, მაშინ ესტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომხდარიყო. ესტატეს მოსვლაზე ჩვენ უფრო ამისთვის შევდგებით, რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქართველოს მდგომარეობასთან: ვიდრე საქართველოში საკუთარი საპატრიარქო ანუ საკათალიკოზო დაწესდებოდა, მეხუთე საუკუნის გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს. ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთმთავარი, რომელიც ყოველთვის ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩევოდა და გამოიგზავნებოდა აქ 33).

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### VII

სირონას გაეღო თავის სახლში ფანჯარა და ისე იჯდა. ზანგის გოგო, ნაყიდი რომში, თმას უწნავდა.

გოგოს დაესხა ხელზედ სურნელოვანი ზეთი და მშვენიერს თმას მშვენიერის ქალ-ბატონისას ზედ უსვამდა ხან ერთის მხრით და ხან მეორეს მხრით. სირონა ხმა ამოუღებლივ იჯდა და ზოგჯერ ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე.

როცა გოგომ თმა შუა გაუყო დასაწნავად, სირონამ შეაყენა და უთხრა: სარკე მიჩვენეო.

33 Hist. de la Géor. I, 118 n. 3,128 n. 4. Lebeau. Hist du B—Emp. I, 298.

34 Hist. de ja Géor. I, 192 n. 2; II, 2 livr. p. 442.

*) ეხლანდელი არლი, საფრანგეთის ნაწილი.

რამდენსამე ხანს ნაღვლიანად დაჰყურებდა თავის-თავს სარკეში, მერე ხელახლად ამოიოხრა, აიყვანა ხელში პატარა გოშია, რომელიც ფეხთა წინ ეწვა, მიუბრუნა სარკე ამ ოთხ-ფეხს და წარმოსთქვა:

— ჰო, ჩემო იამბავ, როცა ამ ოთხ კედელ შუა მე და შენში ერთ-ერთი მოიწადინებს ნახოს რამე თავისი საგულდო, მაშინ უსათუოდ მარტო სარკეში უნდა ჩავიხედოთ ხოლმე.

მერე მიუბრუნდა გოგოს და განაგრძო:

— საწყალი პირუტყვი რა რიგ თრთის! უსათუოდ არელასზედ *) ნაღვლობს და ეშინიან კიდევ დიდხანს არ დავრჩეთ ამ მწვავის მზის ქვეყანაშიაო. წუღები მომიტანე!

გოგომ მოართო ოქრომკედით ნაკერი წუღები, ოქრომკედის ზონრებით მორთული; სირონამ უკანვე გააბრუნა და უთხრა: ეგენი არა, ძველები! აქაურობისათვის ხის ქალამანიც მეტია.

ამ სიტყვებზედ თვალი გადაავლო ეზოს. მართლა-დაც, ძნელად დასაჯერია, თუ აქ ოდესმე ოქრომკედით ნაკერის წუღებით ვისმე ფეხი მიწაზედ დაედგას.

ეზოს გარს შემორტყმული ჰქონდა შენობები. ერთ მხრივ კედელი იყო შემოვლებული ჭიის კარითა, სხვა მხრებით კი სახლები იყო.

სადაც სირონა და მისი ქმარი იდგა, იმის პირ-და-პირ სახლი იყო სენატორის პეტრესი.

ამ ორ სახლ შუა თლილის ქვის შენობა იყო ბიჭების სადგური და გუთნის იარაღის დასაწყობი. ეზოში ეყარა ნახშირი და რიგზედ დაწყობილი მწკრივად წისქვილის თვლები, რომლებსაც პეტრე თავის მამულში აჭრევინებდა და ეგვიპტეში ჰყიდდა ხოლმე.

ამ დილით მთელი ეს თვალისათვის ვერაფერი სახილველი ადგილი ჯერ სრულიად განათლებული არ იყო მზის სხივთაგან. დილის მზე ძლივს მისდგომოდა ჯერ მარტო სირონას ფანჯრებს.

რომ ჰსცოდნოდა სირონას რა ლამაზად გადაეფინა მზეს თავისი ოქროს სხივები მის მშვენიერს ტანზედ, სახეზედ, რომელიც ელვარებდა სითეთრით და ვარდის ფრად, მის ბრწყინვალე თმებზედ, ესენი ყველა რომ ჰსცოდნოდა, სწორედ მადლს ეტყოდა მზეს, რომელსაც ეხლა ემდუროდა რომ დამიფთხო ძილიო, ეგ მხოლოობითი ნუგეში მარტოობისა.

*) „ივერია“ № 29. 1878 წ.

რამდენიმე წვრილ ოთახებს გარდა, სირონას ჰქონდა ერთი დიდი ოთახი, რომლის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ.

სირონას თვალებზე მზისგან ხელი აეფარებინა და იძახოდა: ეჰ, გული დამილია ამ მზემ! რადა ყველაზედ უწინ ამ ჩემს ფანჯრებს მოადგება ხოლმე! განა მაგისათვის მთელი დღე კი სამყოფი არ არის, რომ დილასაც არ გვაწუხებდეს. საწოლი წინა ოთახში უნდა გავიკეთო. გჰსთქვი და ამას ვიქმ კიდეც, რაც უნდა იბღვიროს ამაზედ ჩემმა ქმარმა.

გოგომ თავი გაიქნია და მოახსენა: ფებიცის ეგ არა სურს.

სირონას თვალები აენთო და ტკბილმა ხმამ თრთოლა დაუწყო, როცა ჰკითხა: რა მიზეზით არა ნებავს?

— ეს მოგახსენათ, რომ სენატორის შვილი პოლიკარპი შენს ფანჯრების წინ მეტად ხშირად დაიარებაო და შენც მეტის-მეტად ხშირად ეთამაშებიო იმის პატარა ძმებსა, დებსა და ართობ ბავშვებსა.

— აქ არის ეხლა შენი ბატონი? ჰკითხა სირონამ და ვაშლსავით წამოწითლა ჯავრისა და წყენისაგან.

— ბატონი წაბძანდა, წაიდუდუნა გოგომ, ჯერ მზეც ძლივს იყო ამოსული. სადილად ნუ მომიცდითო, გვიან მოვალო.

სირონამ ხმა აღარ გასცა. ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და უნუგეშო სასოწარკვეთილებამ ღრუბელი მოჰფინა მის ნორჩს და ლამაზს სახესა.

თითქმის ძაღლმაც კი იგრძნო თავისი ქალ-ბატონის მწუხარება, წამოსკუპდა, თითქო კოცნა უნდაო სირონასი.

მარტო შთომილმა ქალმა მაგრად მიიკრა გულზედ პირუტყვი, რომელიც მას ეკუთვნოდა ჯერ კიდევ სამშობლოში. რაღაცა გაუგებარი და უსაგნო სევდა ეწვა გულზედ; იგი თავის-თავს ჰგრძნობდა ისე მარტოდ, თავმინებებულად და დაშორებულად, რომ თითქო თვალ გადუწვდენელ ზღვაში ნავში ჩაუგდიათ და ისე ქარის ნებაზედ დაცურავსო.

უეცრად შეჰკრთა. ქმარი მოაგონდა, ესე იგი, ის კაცი, რომელიც ამას ყოვლის ფრის ნუგეშად უნდა ჰყოლოდა, და რომელთან ერთად ყოფნა კი ემძიმებოდა და გულს უწყლავდა. ქმრის გულ-გრილობა საწყენად არა ჰქონდა სირონას; სირონას გულს უკლავდა მისი ალერსი და მისი ალერსისა უფრო ეშინოდა, ვიდრე მის მხეცურის რისხვისა. სირონას ქმარი თავის დღეში არ ჰყვარებია.

სირონა ისე გაიზარდა, რომ წინა-მძღომელი არა ჰყოლია, ისე თავის ნებაზედ იზრდებოდა ჟვის ძმებთა და დებთა შორის. მისი მამა დაბალი მოხელე იყო ერთს სასამართლოში. თუმცა ცირკის პირ-და-პირ იდგნენ, მაგრამ მამა ისეთი მართებულების მიმდევარი კაცი იყო, რომ არც ერთხელ თავისი ქალი-შვილები არ გაუშვია ცირკის სანახავად. ხალხის ნახვას, კი, რომელიც ცირკში ყოველდღე დადიოდა, რასაკვირველია, ვერ დაუშლიდა; ვერც იმას დაუშლიდა, რომ ხალხის მხიარული კიჟინა, მოწონების თუ დაწუნების ხმაურობა არ გაეგოთ.

ამ მხიარულებამ ხალხისამ, რომელსაც სირონა ყოველ დღე ხედავდა და რომელიც მისთვის აკრძალული იყო, ადრე ჩაუნერგა გულში წყურვილი შექცევისა და მხიარულებისა. მოცლაც კი არა ჰქონდა უქმის შექცევისათვის. დედა ადრე მოუკვდა და სირონას, ჯერ თვითონაც კი ბავშს, უნდა მიეღო მზრუნველობა რვა პატარა და-ძმების პატრონობისა.

სირონა გულ-მოდგინედ ასრულებდა ამ მოვალეობას და თავისუფალ დროს გულ-დაგდებით ყურს უგდებდა ხოლმე დედა-კაცების ლაპარაკს რომის ქალაქის დიდებულობაზედ და ბრწყინვალებაზედ.

სირონას შეტყობილი ჰქონდა, რომ ძალიან ლამაზია, რადგანაც კარის დირედამ ფეხს გადმოადგამდა თუ არა, ყველა ამას ეუბნებოდა. გარნა სხვა რომისა იმისათვის კი არ უნდოდა, რომ თავი გამოეჩინა და ყველა აღტაცებაში მოიყვანოს, არამედ იმისათვის, რომ თვით ენახა რამე და ესიამოვნა.

როცა ფებიცი, სირონას ქმარი, გადიყვანეს რომის ქალაქს სამსახურისათვის და სირონა, შვიდმეტის წლის ქალი ვითარცა ცოლი უნდა გაჰყოლოდა ქმარს — მაშინ სირონას ბედნიერებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თუმცა მის და ქმრის შორის წლოვანებაში დიდი განსხვავება იყო, ქმარი ორმოცის წლით უფროსი იყო ცოლზედ.

მაშინვე ქორწილის შემდეგ მასსილიიდამ *) რომში წავიდნენ: სირონა ზღვით ერთის ბებერის ნათესავითურთ და ქმარი ხმელეთით თავისის ამალითა.

ქმარზე წინ სირონა მივიდა რომში. აქ ქმრის მოსვლას აღარ მოუცადა, აჰყვა თავის ყმაწვილ-ქალობის მიდრეკილებასა, დაიწყო სინჯვა ქალაქისა და მის აღტაცებას და გაოცებას ბოლო არა ჰქონდა. ეს კი უნდა

*) ეხლანდელი მარსელი.

ვჰსთქვათ, რომ უთავის ნათესავოთ ფეხიც არსად გაუდგამს, თან მოყოლილი ნათესავი ქალი სულ თან დაჰყვანდა.

ამასთან სირონას არ გამოჰპარებია თვალთაგან ის გარემოებაც, რომ სადა კი მივიდოდა, ყველანი აღტაცებაში შედიოდნენ მის სილამაზის გამო და რამოდენადაც ეს ამბავი გულში იამებოდა ხოლმე, იმოდენადვე ჰსწყინდა, რომ დიდი და პატარა, ყმაწვილი და მოხუცი ჰსდევნიდნენ სატრფიალოდ.

ბოლოს ფებიციც მოვიდა. რა ნახა, რომ სახლი მისი სავსეა სირონას მოტრფიალეებით, იწყინა და ისე დაუწყო ქცევა სირონას, თითქო დიდი ხნის ცოდვამ ცოლ-ქრმობის ერთგულება დაარღვიაო.

მაინც კიდევ სადა კი შექცევა იყო რამე ანუ თამაშა, ყველგან დაჰყვანდა თავისი ცოლი, რადგანაც ყველგან თავს იწონებდა, რომ ლამაზი და ახალ-გაზდა ცოლი ჰყვანდა.

სირონის შესახებ ამას ვიტყვით, რომ უარს არ იყო მოსწონებოდა ვისმეს და მოეწონა ვინმე, მაგრამ რადგანაც სხვა შვილების პატრონად მამა გამოელოდდა სირონასა, ამისათვის ჯერ პატარაობითვე ჩაეგონებინა სირონასათვის გარჩევა კარგისა და ავისა, წმინდისა და უწმინდურებისა. მალე შეამცნივა სირონამ, რომ ეს დიდის ქალაქის შექცევანი, რომელნიც ლამაზ-ლამაზ ყვავილებათ მოეჩვენა წინა-პირველად, ამოსულნი არიან საძაგელს და მყრალს საფლობზედა.

სირონას მოჰსწონდა ყოველივე რაც ნამდვილად კარგი, მიმზიდველი და სამაგალითო იყო, მის ქმარს კი პირიქით უყვარდა მხოლოდ სასალახნო და შემაზრზენი რამ.

ქმარი ყოველთვის იჭვნეულობით შეჰსცქეროდა ცოლსა და მაინც კიდევ მის ყურადღებას მიაქცევდა ხოლმე იმისთანა საგანზედ, რომელიც ეთაკილება ხოლმე ყოველს პატიოსანს ქალს.

ყოველის ლხინისა და შექცევის შემდეგ ქმარი იმისთანა საწყენის სიტყვებით დაუწყებდა ყვედრებას, რომ ბოლოს ამ გვარის ქცევით ტანჯულმა სირონამ უარი ჰსთქვა შინიდამ გარედ გასვლისა. მაგრამ ქმარი კი ძალას ატანდა, უნდა იაროვო, რადგანაც ქრმის უფროსი,—პრეფექტი კვინტილიო, ამას თხოულობდა და ყოველ დღე ჰგზავნიდა სირონასათვის ყვავილებს და საჩუქრებსა.

ამას ყოველს ფერს ითმენდა სირონა, თითქმის ქმარს ამართლებდა და თავის-თავს ამტყუნებდა. ხოლო ათმა თვემ რომ გაიარა, ფებიცის ერთმა საქციელმა გზა გადალობა ცოლ-ქმართა შორის. როცა ამ საქციელმა სამსახურის წინ წაწევის ნაცვლად, ფებიცი გაისტუმრა სინაის მთაზედ მცირე მეცხოვნეთა-ჯარის უფროსად, და ამ სახით სამსახურში უკან დაჰსწია, მაშინ გაჯავრებულმა უფრო მეტად დაუწყო ცოლს წვალება, თუმცა სირონა გაჯიქდა და ამაზედ ხმასაც არ იღებდა. ყოველივე ეს იმით დაბოლოვდა, რომ ქმარი, რომელიც არც უწინ უყვარდა, უფრო შეჰსძულდა და თვალში ისე ჰყვანდა, როგორც საზიზღარი მოურჩენელი მუწუკი.

როცა ქმარი შინ იყო, სირონა ისე იჯდა როგორც მუნჯი, გაკაპასებული და გაჯავრებული; რა წამსაც ქმარი მოშორდებოდა, ჩვეულებრივი გულ-კეთილობა და ყმაწვილური მხიარულება განუღვიძებდნენ ხოლმე სიცოცხლეს, რომლის უკეთესნი ყვავილნი გარდიშლებოდნენ ხოლმე სენატორის სახლში ბავშვებ შორის, სადა სიყვარულს სიყვარულითვე პასუხს ჰსცემდნენ.

ფებიცი ეკუთვნოდა კერპთ-მსახურთა ღმერთის მიტრის თაყვანის-მცემელთ ამ ღმერთის სახელზედ ხშირად უმარხვნია იმდენად, რომ სასიკვდილოდ მისუსტებულა და ხშირადვე გონების მიხდამდე დამთვრალა ამ ღმერთის დღესასწაულობაში.

აქ სინაიაზედაც მას გაემართნა მღვიმე მიტრის დღესასწაულობის გადასახდელად, გარს შეეკრიბა რამდენიმე თავისი თანამორწმუნე და როცა სახლიდამ რამდენიმე დღით და ღამით წავიდოდა ხოლმე, სირონამ იცოდა სად იმყოფებოდა.

სირონას ამ ჟამად თვალ-წინ წარმოუდგა ქმარი ხან ლოთობისაგან დათენთილი, ხან რისხვით ანთებულის თვალებით, და ჰკითხა თავის-თავს: ნეტა, როგორ მოხდა, რომ მე ამის ცოლად შევიქენ!

გულმა ღელვა დაუწყო, როცა მოაგონდა რა რიგის გინებით შემოუტევდა ხოლმე ქმარი რომში და პატარა ხელები მუშტებათ შეეკუმშნენ.

უეცრად ძაღლი წამოუხტა მუხლებიდამ და ხმა-მაღლა ყეფით გადაჰსკუპდა ფანჯარაზედ.

სირონა შეკრთა. გაისწორა კაბა, გაიმაგრა წუღები ფეხზედ, მივარდა ფანჯარას და გადიხედა.

იმავ წამს ღიმილმა დაუწყო თამაში პირის სახეზედ: დაინახა გერმასი, რომელიც თურმე დიდი ხანია აქა დგას, პეტრეს სახლის კედელზედ მიყუდებული და უმზერს მშვენიერს ქალს,

შავი ფიქრები ისე ადვილად შეეცვალნენ სიამოვნებათ, როგორც თვალნიცა, რომელთა სამყოფი იყო ცოტაოდენი ნათელი სიამოვნობისა მიჰკარებოდა, რომ წაეშალა ყოველივე ნიშანი ნაღვლიანობის ბუნდისა. არც ერთს მწუხარებას და წყენას ქვეყანაზედ არ შეეძლო იმოდენად შეეპყრა სირონა, რომ ერთს მცირეს სხივ მოულოდნელის სიხარულისას არ გაექარწყლებინა სრულიად.

რა ადვილი იყო ფებიცისათვის, რომ ამისთანა ხასიათის ქალი გაებედნიერებინა: იგი ისეთი გულ-ჩვილი, ისეთი მოსაბირებელი იყო, თუ კაცი მცირედს რასმეს მაინც ასიამოვნებდა. და აი ეხლა კი ცოლ-ქმართა შორის ყოველივე კავშირი მოსპობილია.

სახე და მოყვანილობა გერმასისა ძალიან მოსწონდა სირონას. მისი სანახაობა კაი გვარიშვილობის სანახაობად ეჩვენა, თუმცა ტყაპუჭში იყო გახვეული. რა კი შეამცნივა, რომ ლოყებზედ ცეცხლი მოჰკიდებია და ხელი, რომელშიაც წამლით ბოთლი უჭირავს, უთრთის, იგრძნო, რომ ჩემთვის უყურებიაო და ჩემს სახეს აუდუღნია ჭაბუკის სისხლიო.

ყოველი ქალი და ნამეტნავად იმისთანა, რომელსაც უყვარს რომ სხვას მოსწონდეს ადვილად შეუნდობს ხოლმე კაცს ყოველს საქციელს, მის და სილამაზის სახელით წარმომდგარსა. ტკბილის ხმით და მეგობრულად დილა მშვიდობისა უთხრა გერმასს და ჰკითხა მამის ამბავი, როგორ გაჰსჭრაო სენატორის წამალმაო

ყმაწვილმა კაცმა პასუხი მიჰსცა მოკლედ და მორცხობითა და თვალნი მისნი კი ამჟღავნებდნენ, რომ გულში სხვა რამ აქვს სათქმელი და არა ის, რაც მისმა მოუხერხებელმა ენამ წარმოჰსთქვა.

— მე გუშინ დოროტეამ მიამბო, ჰსთქვა სირონამ: რომ პეტრეს მამიშენის მორჩენის იმედი აქვს; ეხლა კიო ძალიან დასუსტებულიაო. იქნება კაი ღვინო არგებს; თუ ღვინო საჭირო იქნება, ჩემთან მოდი, ჩვენ სარდაფში კაი ძველი ღვინოები გვაქვს.

გერმასმა მადლობა გადუხადა. როცა ერთი კიდევ წაასალისა ტკბილის სიტყვით, გერმასმა, უფრო ენა დაბმით ვიდრე თავისუფლად, უთხრა:

— თქვენ იმოდენად გულკეთილი ყოფილხართ, რამოდენათაც მშვენიერი!

ესა ჰსთქვა თუ არა ბიჭების სადგურიდამ ერთი ქვა მოირღვა და ძირს ერთის ხმაურობით დაეცა. სირონას შეეშინდა და სწრაფად მოეცალა ფანჯარას, გოშიამ ხმამაღლა ყეფა დაიწყო, გერმასმა კი თავზედ ხელი წაივლო, თითქო სიზმარში იყო და უეცრად გამოჰფხიზლდაო.

გერმასი მაშინვე გაბრუნდა და სენატორის კარი დაარაკუნა. რა წამსაც კარი გაუღეს, მაშინვე თვალ-წინ გაურბინა მირიამმა, რომელიც სასახლიდამ გამოვიდა და მსახურების სადგურისკენ სწრაფად წავიდა. მსახურების სახლში ეხლა არავინ იყო, ზოგი მინდორში წასულიყო, ზოგი სად და ზოგი სად.

მირიამმი შევიდა ერთს პატარა ოთახში, სადაც დაჭრილი მსახური იწვა, წამალი დაადო წყლულზედ და ისევ მალე გამოვიდა. აეფარა კარებს და დაუწყო ყურება ხან სენატორის სახლს, ხან სირონას ფანჯრებს. თან და თან გული უფრო და უფრო ასწრაფებით უძგერდა. გულში შეეპარა ახალი, უძლეველი გრძნობა. რამდენსამე წუთს წინად კი მისი გული აუღშფოთებლად იყო, სრულად დამშვიდებული იჯდა იგი სნეულთან და ჰფიქრობდა სინაის მთაზედ და თავის თხებზედა. მაგრამ ეზოდამ რაღაც ნელი ხმაურობა მოესმა, იმისთანა ნელი რომ სხვა ვერც კი გაიგონებდა და მირიამმა კი არამც თუ გაიგონა, გამოიცნო კიდეც, ვინ არის მიზეზი ამ ხმაურობისა.

განა შესაძლო იყო არ ეცნა გერმასის ფეხის ხმა, რომლის გაგონებაზედაც ჟრჟოლა მოსდიოდა ტანში! უმალვე წამოხტა ფეხზედ და გამოვარდა გარეთ ეზოში. აეფარა თურმე წისქვილის ქვებს და იქიდამ ადევნა თვალი გერმასს, როცა ეს სირონას ფანჯრებ წინ იდგა. თვალი გერმასის თვალს გააყოლა და მირიამმაც ის დაინახა, რასაც ხედავდა გერმასი, ესე იგი, მშვენიერის მზის სხივით მოფენილი სირონა. სირონა ჰგვანდა თოვლს, ოქროთი და ვარდებით დაწინწკლულს, ანუ ანგელოზს, ეკკლესიის ხატზედ გამოსახულსა. დიახ, სწორედ ანგელოზსა!. გუნებაში გაურბინა, რომ თვითონ შავგრემანია; რომ ერთხელ გერმასმა უთხრა ქაჯი ხარო.

რაღაც მტკივნეულობა იგრძნო გულშია, თითქო სულით და ხორცით დანაკუწრებულიაო. გაშტერდა მწუხარებით, მაგრამ სიშტერემ მალე გაუარა, გულმა ისეთის კაპასობით დაუწყო ცემა, რომ ტუჩები სულ კბილით ეჭირა, გულის ქენჯნამ და ჯავრმა არა ამომათქმევინოს რაო ხმა მაღლად.

რა სიამოვნებით ეცემოდა ეხლა იგი ფანჯარას, რომელსაც შეჰყურებდა გერმასი, რა გაკაპასებით ჩაჰსჭიდებდა

ხელს სირონის ოქროს ფერს თმას, რა რიგად დაჰსცემდა პირს და დაუწყობდა სისხლის წუწვნას ალის ფერის ტუჩებიდამ, ვიდრე ტუჩები არ დაულურჯდებოდნენ, როგორც წყურვილით წვალებულს და დამხჩვალს ადამიანს:

მირიამმა თვალი მოჰკრა, რომ სირონას კაბა გაეხსნა, თეთრი ბროლის მკერდი გადეღეღა და გერმასმა ამისმა მნახველმა ხელი გულზედ წაიღო.

ახალმა გრძნობამ შეიპყრა მირიამი: უნდოდა ხმა მიეცა სირონასათვის და გაეფთხილებინა.

ერთმანეთზედ გადამტერებულნი ქალნიც კი სულგრძელად შველიან ხოლმე ერთმანეთს, როცა უმანკო დედაკაცობის უწმინდესს გრძნობას რაიმე ფათერაკი მოელის.

თვითონ შეჰრცხვა სირონას მაგიერ და ხმის მისაცემად პირი გახსნა კიდეც, მაგრამ მალღას სწორედ მაშინ დაიყეფა და ლაპარაკსაც მაშინ მოჰყვნენ სირონა და გერმასი.

ერთად ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია მირიამის მახვილს ყურს და როცა გერმასმა უკანასკნელი სიტყვები უთხრა მირიამს სისხლი თავში აუვარდა და იგრძნო რომ გონება ეკარგება.

ქვა, რომელსაც მაშინ ხელი მოჰკიდა მირიამმა თავის დასამაგრებლად, ცუდად იყო დამაგრებული, მოირღვა და პირს დაეცა. ამის დაცემაზედ იყო რომ სირონამ და გერმასმა ლაპარაკი შეჰწყვიტეს და მირიამი კიდევ დაჭრილთან წავიდა.

ეხლა კი კარებთან იდგა და გერმასს ელოდდა. ელოდდა, ელოდდა და ეგონა, რომ ამ ლოდინს დასასრული არ ექმნებაო. ბოლოს გერმასი და დოროტეა ერთად გამოვიდნენ და მირიამმა თვალი შეასწრო, რომ გერმასმა სირონას ფანჯრებისკენ მიიხედა ხელახლად. ნიშნის მოგების ღიმილმა დაუბრიცა ტუჩები: ფანჯარაში აღარავინ სჩანდა და მშვენიერი სახე, რომლის ნახვის იმედი ჰქონდა, დიდი ხანია ფანჯარას მოჰსცილებოდა.

სირონა ამ დროს ჯარას ართავდა დიდს ოთახში, საცა იგი ცხენის ფეხის ხმამ მიიზიდა. თურმე სენატორის უმცროსი შვილი პოლიკარპი მამის ულაყ ცხენზედ შემჯდარიყო და ჩამოეარნა ამ დიდ ოთხის ფანჯრების წინ, თავი დაუკრა სირონასათვის და ფანჯრებ წინ ვარდი გადმოაგდო.

ნახევარს საათს უკან, ზანგის ბებერი გოგო—მოსამსახურე შემოვიდა სირონასთან.

— ქალბატონო! შეჰსძახა საზარელის ღიმილით გოგომ. სირონამ ხელს საქმეს თავი დაანება და გაკვირვებით შეხედა. ბებერმა ვარდი მიართვა.

სირონამ ყვავილი გამოართო, მტვერს შეუბერა და ნაზი ფოთლები დაუსწორა ყვავილს; მას მერმედ უბძანა: მეორედ ნუღარ აიღებ ყვავილებს, შენ ხომ კარგად იცნობ ფებიცის—ამას გარდა ერთი ჭორიკანაობა ასტყდება, რომ სხვამ ვინმემ დაინახოს.

შავმა დედა-კაცმა მხრები აიჭიმა და გამობრუნდა, სირონას გულში გაურბინა ამ აზრმა: რაო მითამ? პოლიკარპი ძალიან ლამაზი ყმაწვილი კაცია და კაი გულისაცა და იმისთანა დიდრონი ღრმა ცისფერი თვალები აქვს, რომ მგზავსი არსად მინახავს. ნეტავი რაღაც მხატვრობაზედ, ფიგურებზედ და გეგმებზედ კი არ იცოდეს ხოლმე ლაპარაკი და! სულ ამისთანა მძიმე საქმეებზედ მელაპარაკება, ის კი არ იცის, თუ მაგგვარს მე ვერაფრად ვეწყობი! ვერაფერი შესაქცევარია!“

(შემდეგი იქნება)

## განცხადება.

ტფილისის ქალაქის გამგეობა (უპრავა) აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიები მომავალ არჩევანისათვის შედგენილი არიან და გაგზავნილნი ყველა აქაურ გაზეთების რედაქციაში დასარიგებლად მათთა ქალაქელ ხელ-მომწერლებთათვის. გარდა ამისა მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ამომრჩეველთა სიები ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის 10 საათიდამ ვიდრე შუადღის 2 საათამდე. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ თვისი შენიშვნა ხსენებულ სიების ნაკლულევანებაზედ მიჰმართონ გამგეობას ორის კვირის განმავლობაში, თერთმეტის ღვინობისთვიდამ მოყოლებული.

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 Октября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.